

ინფორმაცია 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე საარჩევნო სუბიექტებისთვის

1) წინასაარჩევნო უფასო პოლიტიკური რეკლამის განაწილება კვალიფიციური სუბიექტებისთვის:

- კვალიფიციური სუბიექტებისთვის საზოგადოებრივი მაუწყებელი საკუთარ ეთერში უსასყიდლოდ განათავსებს წინასაარჩევნო რეკლამას ყოველ საათში 60 წამის ოდენობით თითოეული კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტისთვის.

2) წინასაარჩევნო ფასიანი პოლიტიკური რეკლამა

- წინასაარჩევნო ფასიანი პოლიტიკური რეკლამის ტარიფის შესახებ ინფორმაცია ყოველ კვირეულად განთავსდება მაუწყებლის ვებ გვერდზე [www.gpb.ge](http://www.gpb.ge)

3) წინასაარჩევნო უფასო პოლიტიკური რეკლამის ეთერში გაშვების პირობები:

- საქართველოს ორგანული კანონის ``საქართველოს საარჩევნო კოდექსის`` 50-ე მუხლის თანახმად, პოლიტიკური/წინასაარჩევნო რეკლამის გამოქვეყნებისას კადრის კუთხეში უნდა იყოს წარწერა ``ფასიანი პოლიტიკური რეკლამა`` ან ``უფასო პოლიტიკური რეკლამა``. რეკლამას უნდა ჰქონდეს სურდოთარგმანი, რომლის უზრუნველყოფა რეკლამის წარმდგენი საარჩევნო სუბიექტის ვალდებულებაა. სურდოთარგმანის არარსებობის შემთხვევაში მაუწყებელი იტოვებს უფლებას არ გაუშვას სუბიექტის მიერ მოწოდებული საარჩევნო რგოლი.
- საარჩევნო სუბიექტმა წინასაარჩევნო უფასო რეკლამის განსათავსებლად უნდა წარმოადგინოს გენერალური დირექტორის, გიორგი ბარათაშვილის სახელზე ოფიციალური წერილი და სარეკლამო რგოლი მისამართზე: ქ. თბილისი, მერაბ კოსტავას ქ.68.
- სარეკლამო ბლოკში საარჩევნო სუბიექტის რიგითობა განისაზღვრება მაუწყებელში შემოსული საარჩევნო სუბიექტების წერილის(განაცხადის) რიგითობის მიხედვით.
- სუბიექტის მიერ წარმოდგენილი რგოლი თუ არის რამოდენიმე და საჭიროებს მედია გეგმას, სუბიექტმა ელექტრონულ მისამართზე [sales@gpb.ge](mailto:sales@gpb.ge) უნდა გამოაგზავნოს განთავსების მედია გეგმა და შეათანხმოს სარეკლამო სამსახურთან. სარეკლამო რგოლის განთავსება მოხდება წარდგენიდან მეორე სამუშაო დღეს. რგოლის ჩანაცვლების ან მედია განთავსებაში ცვლილების შეტანის შემთხვევაში კვალიფიციურმა საარჩევნო სუბიექტმა წერილობით უნდა გვაცნობოს ერთი სამუშაო დღით ადრე ელექტრონულ მისამართზე [sales@gpb.ge](mailto:sales@gpb.ge)
- კვალიფიციური სუბიექტის მიერ წარმოდგენილი რგოლი უნდა იყოს 30 წმ ან 60 წმ, არაკვალიფიციური სუბიექტის შემთხვევაში 15 წმ. სხვა ქრონომეტრაჟის შემთხვევაში სუბიექტის მიერ გამოუყენებელი საეთრო დრო არ ანაზღაურდება შეკრებილობის პრინციპით.

#### 4) წინასაარჩევნო პოლიტიკური რეკლამის ტექნიკური პარამეტრები

- სარეკლამო რგოლზე უნდა იყოს მითითებული საარჩევნო სუბიექტის დასახელება ან რიგითობის ნომერი, შრიფტის ზომით მინიმუმ 24 PX
- სარეკლამო რგოლი უნდა იყოს:

**Full HD (1920×1080) 1080p. mp4 25fps ( H264 მაღალი ხარისხის კომპრესიით, "HighBitRate" რეჟიმი, მინიმუმ 30 mbps.)**

**Full HD (1920×1080) 1080p. Quicktime mov 25fps ( H264 მაღალი ხარისხის კომპრესიით ან Photo JPG -100% quality)**

CD ან DVD დისკზე,

**აუდიო- 48.000 kHz Stereo**

საკონტაქტო პირი :

მედია- მენეჯერი თინათინ მიქელაძე 577 10 7740 [t.mikeladze@gpb.ge](mailto:t.mikeladze@gpb.ge) [sales@gpb.ge](mailto:sales@gpb.ge)